

სტამბა და რედაქცია:

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათაველ-
აზნაურის ქარაზისა.

ბელის-მომწერნი გაზეთის დასაკეთად მიჰმართვენ
რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და
სალამოს 6-7 საათამდე და „წერა-კითხვის“ გამ.
სახოგადოების“ წიგნის მაღაზიას.

სულმოუწრავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლე-
ბა ყოველ-დღე.

ტელეფონი № 363.

ფენიქსი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი

ერთის წლით 6 მანკი, წინასწარ წლით 4 მანკი
თითო ნაწილი 3 მანკი
ფასი გასწავლენისა
წვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კ.
მეთხუთმე 4 კაპ.

Типография и Редакция
„**ЦНОБИСЬ ПУРЦЕЛИ**“
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

!!ყველას სავალისებრად!!

31 მაისიდან **მცხეთის** საღვურის მახლობლად 200 საენის
მანძილზე (ბეჟანოვის სააგარაკოში)
სასეარნო ბაღი

არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი
საჭმელ-სასმელი.

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია
ფარდულები და ოთახები.

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები

შველადი იაშაღ

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დატული იქნება.

(40-8)

კ. ჩხარტიშვილი

იბეჭდება და 15 თიბათვისათვის მზად იქნება გასასყიდად ახალი წიგნი:

თ. ილია ჭავჭავაძე

ბიოგრაფიული და კრიტიკული კრებული

წერილი პირველი

მეზახლავარისა

წიგნი ელირება 20 კაპ. წიგნების მაღაზიის პატრონებს ვსთხოვთ, ეხლავე
შეგვატყობინონ, რამდენის ცალის დაბარება ჰსურთ. ნაღდ ფულად წიგნი
დაეთმობათ 12 კაპ., კომისიით დაეთმობათ 20%. წინადადე დაბარება
იმისთვის იქნება საჭირო, რომ ავტორი 20 თიბათვეს ტფილისიდან
გავა სოფლად.

აღრესი: „ივერიის“ რედაქცია, შარაქს. გარდაეცეს ბ-ნს შეგასწავას.

შავალკების საწოლი

ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-ახნ. სხდი № 102

ყოველთვის იძოვება მრავალი ხარისხის შავალკი

ფასი ყველაფერზე იაფია

შავალკი თვითონ ნაქერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დაბარებების მოსართავი და გასწავლი საშუალები.

Депозитъ

И. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни)
№ 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 16)

გამოვიდა და ისეიდება

წ.-კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხან. მაღაზიებში

გლესი-კაცის ისტორია

ერკმან-შაჰრიანიისა

თარგმანი ივ. მახარაძისა

ნაწილი პირველი: საურთ კრება.

ნაწილი მეორე: სამშობლოს განსაცდელი.

ესი თითო ნაწილისა სამი აბაზი.

კარგს ქალაქზე ხუთმეტე შურა.

იქვე ასეიდება ი. მანგანის თარგმანები

ბრძელები,

მოქმ. დროა პოლ ერვისი. ფასი 30 კ.

ივლითი,

ტრაგედ. ნ მოქმ. ჯიკომეტისა, ფასი 30 კ.

ვინც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ.

დაეთმობა.



(30-29)

„წერა-კითხვის“ გამოვრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
იყიდება ასევე წიგნი

ლემსეზი

თხზ. განდევნილსა, ავტორის სურათით. ფასი ათი შურა (გავზავნი
თურთმეტე შურა). ვინც ათ ცალს დაიბარებს, წიგნი ცხრა შურად და-
ეთმობა, ოც-და-ხუთ ცალზე მეტი — ორ აბაზად. (5-4)

ა. ს. როინაშვილის

ფოტოგრაფია,

რომლისთვისაც შენდება ახალი სახლი, ღროვით გადავიდა

ქართლ-კახეთის თავად-ახსნურობის ქარვასლში

სასახლის ქუჩაზე, სადაც მოთავსებულია მისი განყოფილება

„რემბანტის“ ფირმით. (5-1)

ბნისპრ და დაფესება

ტეიან მამულებისა

დაფესება

სამეურნეო შემოსავლისა

მამულის გეგმის შედგენას და სს-
კისრულობს ალექსი გრაგოლის მე
სნეჰოში, ლაბორატორიის ქუჩა
№ 26. ტელეფონი № 567.

Алексѣй Григоріевичъ СНѢЖКОВЪ,
Лабораторная, № 26. (50-34)

ეპიმი

ე. მ. ჩიქოვანის

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დი-
ლის 11-12-მდე და საღამოს 7-
8 სსათ.

მიხეილის ქუჩა, № 16

Докторъ Н. М. Чиковани
Михайлов., № 16.

გამოვიდა და ისეიდება

ქალაქის ყველა მაღაზიებში და
ეკკლესიებშიაც

ცხოვრება

ქალწულ მოწამისა და მოციქულთა
სწორის

თეკლუსი

(სურათით)

გამოცემა მორჩილის რ. ბანამიძისა
ზანი მართი შურა (10-7)

სამეურნეო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-
მყოფთათვის. მიიღებენ ავადმყოფ-
ნი: შინაგანსა, ნერვებსა, საქანურ-
გია, თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისა.

გალამდებ სენით ავადმყოფნი არ მი-
იღებენ:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდან ნაშუადღევს 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. პ. გარბატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კობანი.

20 მაისიდან — დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-რ. ბა-
ცხვირი.

თვალების ავადმყოფობას — ი. პ.
მარშაშხია.

ამბულატორიაში არის კაბინეტი,
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონი
წამლობისათვისა და საეისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია.

Львѣнница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

ახალი ამბავი

* მთავარ-მართებლას კანცელა-
რია და სამხედრო ოლქის შტაბი
ამ თვის მეორე ნახევარში გადა-
დიან კოჯორს.

* „ახალი მკითხველს“ წვერ-
ბად ნამყოფ შერთა სეურადლეობდ.
1898 წელს მაისის 17-ს კომისიამ,
რომელსაც მინდობილი ჰქონდა
იმის გადაწყვეტა, თუ რა დანიშ-
ნულება უნდა მისცემოდა აწ გაუ-
ქმებულ გამოცემელ ამხანაგობის
„ახალი მკითხველის“ დარჩენილ
ქონებას, დაადგინა: მოხსენებული
ქონება შეეწიროს ახლად დაარსე-
ბულ გამოცემელ ამხანაგობას

„შრომას“. ამასთანავე „ახალი მკი-
თხველის“ წვერებად ნამყოფ იმ
პირთ, რომელნიც არ დასთანხმე-
ბიან ასეთ გადაწყვეტილებას და
მოითხოვენ პირად დაკმაყოფილე-
ბას, მიეცეთ სრული უფლება მიი-
ღონ დარჩენილ ქონებიდან თავი-
ანთი ხვედრი (წიგნებად). ამ საგ-
ნის შესახებ თავიანთი სურვილის
განცხადება შეუძლიათ ხსენებულ

პირთ მხლად 15 ივლისამდე. წე-
რილების გამოგზავნა შეიძლება
შემდეგის აღრესით: Тифлисъ.
Редакція газ. „Цнобись Пурце-
ли“. ს. ჯუღელს.

კომისიის წევრნი: ლ. დარჩიაშვილი
რ. კალაძე

* მასწავლებლის დუშაძის საქ-
მე. გუშინ-წინ ოლქის სასამართ-
ლოში ეტლით მოიყვანა ორმა
ცხენოსანმა ჯარის-კაცმა მასწავ-
ლებელი დუშაძე, რომელიც აღი-
არებულ იქნა დამნაშავედ შეშ-
ლილობის დროს მასწავლებელ ქა-
ლის შმაკოვის მოკვლის განზრახ-
ვაში. დუშაძეს განუცხადეს სასა-
მართლოს განაჩენი და განუმარტეს
განაჩენის განსაჩივრების წესი. მკი-
თხველს ეხსომება, რომ დუშაძეს,
როგორც სულით ავადმყოფს, არ
მიანიჭეს სასჯელი და გადაუწყვი-
ტეს სულით ავადმყოფთა სახლში
ცხოვრება. სასამართლოს განაჩენ-
ზე პროტესტი შეაქვეტ პროკურორ-
სა და თვით ბრალდებულს. („ტფ.
ფურც.“)

* ტფილისის გუბერნატორი თ.
ა. ბიკოვი 9 ივნისს გაემგზავრა
ტფილისიდან ბორჯომს, სადაც
განზრახვა აქვს დარჩეს ორი-სამი
დღე.

* ხელახანთა სანაგავა. ხელო-
სანთა ამქრების 29 დეპუტატმა სა-
ჩივარი შეიტანა ტფილისის გუბერ-
ნატორთან ხელოსანთა წარსულ
კრების დადგენილების უკანონო-
ბაზე საზოგადო ბეგარებისა და ხა-
რჯების შესახებ.

* ნ. ე. ზუბალაშვილის ახდერ-
მას გამო. ტფილისის ქალაქის გა-
მგებამ მოისმინა განსვენებულის
ნ. ე. ზუბალაშვილის სულის მე-
საიდუმლოს ქ-ნ ე. გ. ზუბალაშვი-
ლის ვეჟილის ბ. კედროვის განც-
ხადება ქალაქის სასარგებლოდ ნა-
ანდერძევი ქონების შესახებ და
დაადგინა: განსვენებულ ზუბალა-
შვილის მიერ ნაანდერძევი ქონება
გადაეცეს ქალაქის მმართველობას,
აღძრულ იქმნეს დადგენილ წესი-
სამებრ შუამდგომლობა შემწირვე-
ლის სახელზე „საღარიბო სახლის“
დაარსების ნება-რთვის შესახებ.
ამორჩეულ იქმნეს აღმასრულებე-
ლი კომისია ანდერძის განსახორ-
ციელებლად; დაესწრნენ განსვენე-
ბულის გვამის დაკრძალვაზე ტფი-
ლისში როგორც საბჭოს ყველა
ხმოსნები, ისე გამგებობის ყველა
წევრი; შემკულ იქმნეს მისი კუ-
ბო გვირგვინით ქალაქ ტფილისის
მიერ; განეცხადოს განსვენებულის
ქვრივის ღრმა თანაგრძობა ქალა-
ქის მმართველობისაგან და განსვენ-
ებულის ხსენების პატივის ცემა;
ეთხოვოს ტფილისის გუბერნატორს

დაკრძალვის დღეს ამქრების დროს შობის გამოტანისა და აგრეთვე დაკრძალვაზე ამქართა დასწრების ნება-რთვა. დადგენილ იქმნეს შემოღმწირველის გარდაცვალების დღეს ყოველ-წლივ პანაშვილის გადახდა შემოღმწირველისავე „სალარიზო სახლში“.

*** * * მე-3 გენაზაია კურს-დაძმაგრებულები.** 8 ივნისს დასრულდა კურს-დასამთავრებელი ეგზამენები ტფილისის მე-3 გენაზაიაში; წელს გენაზაიაში კურსი დაამთავრა 29 მოწაფემ; მათ შორის, როგორც გავიგეთ, არ არის არც ერთი ქართველი; მათ უმეტესობას შეადგენს სომხობა.

*** * * აქტი თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში.** 31 მაისს თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში მოხდა აქტი. ანგარიშიდან სჩანს, რომ წელს კურსი დაუმთავრებია 11 ქალს, რომელთაგან ე. ახმეტელაშვილს, ე. შიუკაშვილს და თ. ყახახიშვილს მიუღიათ ჯილდოები. მომავალ წლისათვის განზრახულია სასწავლებელში კიდევ ერთი პარალელური მოსამზადებელი კლასის გახსნა. („კავკ.“)

*** * * გამოცდა სამრეწლო-საეკლეზიაო ნავთქულის სკოლისა.** 8 თებათვეს მამა ინსპექტორმა მალაღლირსმა გერმოგენმა, საოლქო ზედამხედველის ბ. ნ. ტატიშვილითურთ და მთავარმა ე. ჯაოშვილმა მოახდინეს გამოცდა (ეგზამენები) ნავთქულის წმ. ბარბარის ეკლესიის სამრეწლო სკოლაში. საზოგადოთ კარგა უგებდნენ ბავშვები, მეტადრე საღმრთო წერილსა და გალობამ ზომ აღტაცებაში მოიყვანა გამომცდელნი. საზოგადო შთაბეჭდილება კარგი დარჩათ, და დიდი მადლობა განუცხადეს მმართველს სკოლისას მ. იოსებ ჩიჯავაძეს დაუღალავ შრომისათვის, და აგრეთვე მასწავლებელ ქალს იოლბატუსელს. მართლაც, რომ დაუღალავი მშრომელია მ. იოსები, არა მარტო სკოლის საქმეში, როგორც საღმრთო რჯულის მასწავლებელი და გალობისა რუსულისა და ქართულისა, აგრეთვე როგორც მოძღვარი და მამა. ყოველ წლივ არ აკლებს ბავშვებს ბუნდოვან სურათებს, საშობაო ხეს და აგრეთვე სუყველას, რაც კი მოიზიდავს ბავშვს, აღძრავს ხალხში და ბავშვებში ღვთიურს სიყვარულს და ერთმანეთში ბედნიერ ცხოვრებას. იგი დაუღალავია, მისი კარები ყოველთვის ღია ყველა გაჭირვებულისთვის, არა ერთხელ შეუგროვებია ღარიბთათვის და ღატაკათვის გაზეთების შემწეობით ფული და უშოვნია, მეტადრე წელს. თითქმის რამდენიმე სახლობა გადმოახლებულნი მისი შემწეობით და შევლით დღეს ფეხზე დგას. იმას ნულარ იტყვიან, რომ იგი საუკეთესოა ექიმია, არა მარტო სულიერი, ხორციელისაც. მისი კარებს მრავალი ხალხი ახვევია ავადმყოფი, და ყველას, არა მარტო დარჩევას, არამედ წამლებსაც და შემწეობასაც უსასყიდლოდ აძლევს. ისეთი საქმე არ იქნება სამრეწლოში, რომ მან დარჩება და შემწეობა არ გაიღოს. მისი მეცადინეობით დღეს ნავთქულა თავისუფლათ გქ-

ნავთ, თორემ ქალაქი უსუფთაობაში ვგვიბრებდა ჩახრობას. სასურველია, რომ ბევრი იყვეს ჩვენში, ამ რიგი მოძღვარი და მამა, მაშინ ხალხიც მორჯულდება და განათლებას უკეთეს ბინას მოიკეთებს ჩვენს ხალხში.

*** * * ღუქნების აღება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა: სალდათის ბაზარზე და თათრის მოედანზე ქალაქის ღუქნების მოიჯარადრებმა უნდა აიღონ თვის მიერ აგებული ღუქნები სამი თვის განმავლობაში 15 ივნისიდან.

*** * * კონსტანტინე მარ-იონა.** ამ დღეებში მოცილიან ურმიისა და სუფრაღანის (სპარსეთი) ეპისკოპოსს, ყოველად უსამღვდლოდ მარ-იონას, რომელმაც ამას წინად მიიღო მართლ-მადიდებელი სარწმუნოება. მღვდელ-მთავარი დამკრძალავს აქ ორიოდ კვირას. უწმიდესი სინოდის მიერ ეპისკოპოს იონასთან ერთად გამოგზავნილია დეკანოზი სინაკვი და მღვდელ-მონაზონი თეოფილაქტი, რომლებიც გაპყვებიან მას ურშიაში, სადაც დამკრძალავს ორ თვემდე. ეპისკოპოსის იონას სპარსეთში მისვლის შემდეგ მართლ-მადიდებლობას შეუერთებენ აისორ-ნესტორიანებს.

*** * * საეკლესიაო ნინოს შემცირება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ტფილისის ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ შემცირებულ იქმნეს საეკლესიაო ნინოს რკინის გზის სადგურიდან და სადგურისაკენ მგზავრებისათვის. რკინის გზის უფროსის აზრით, არსებული ნინოსი, რომელიც დადგენილ იქმნა ამ 15 წლის წინად, როცა სადგური ქალაქს გარეთ იმყოფებოდა, ამ ეხმად სრულიად დაძველებულია, რადგან ქალაქმა შესამჩნევად გაიწია რკინის გზის გარეთ და სადგურის ახლო-მახლო მყოფი, ადგილები ქალაქის სხვა ქუჩებზე უფრო საესეა ხალხით, რის გამო ის მოსაზრებანი, რომელთა ძალით აწეული სამგზავრო ფასი საფუძელიდან მოიხრდათ (ეტლების ხანგრძლივად გაჩერება, დაბრუნების დროს, მგზავრების უშოვნელობა და სხ.) ამ ეხმად აღარ არსებობენ. მე-III კლასით მგზავრობა ტფილისიდან მცხეთამდე ღირს 18 კაპ. გორამდე 54 კაპ. ბორჯომამდე 80 კ. ეტლის ფასი კი უდრის 50-65 კაპ. კაცს, ასე რომ ეტლით მგზავრობა ორჯერ და სამჯერ უფრო ძვირია. ეს კი, რასაკვირველია, ხელს შეუშლის მატარებლებში ქალაქის მგზავრთა გამრავლებას, რომლის გულისათვის მთავრობამ უკვე შემოიღო გათავისებულ ტარიფები და კიდევ აქვს განზრახული მათი გაიფხება. გზის უფროსი შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ ეტლების ფასი სადგურისაკენ და სადგურიდან შეიქნეს ნორმალური (30 კაპ.) იმ პირობით, რომ მეეტლის ფეხებ-ქვეშ მოთავსებულ ბარგისათვის მგზავრებმა ორი შაური ზედ-მეტე გადაიხადონ.

*** * * საუკუნე-გაგია კურსება.** 15 თებათვეს ტფილისში დაიწყო და ს-

ზაფხულსა სახელმწიფო კურსები ქართლ-კახეთის საეკლესიაო-სამრეწლო და წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთათვის და გათავდება 15 მკათათვეს. საგნები სწავლებისა კურსებზედ იქნება: მეოთხეა საღმრთო სჯულისა, რუსულისა და ქართულის ენისა, ანგარიშისა, და პრაქტიკული მეცადინეობანი საეკლესიაო-სლავიანურს და საეკლესიაო-ქართულს გალობაში. საეპარქიაო სამოსწავლო საბჭომ კურსების გამგეობა და მეთაურობა მიანდა ქართლ-კახეთის საეპარქიაო სკოლების მეფულ-ყურეს ბ-ნ ს. გ. ტატიშვილს; იმის თანაშემწეებად-კი დანიშნულ იქმნენ ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ი. ფერაძე და სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი ანტონ ნატროშვილი. საეკონომიო ნაწილის გამგე-კი დანიშნულ იქმნა ადგილობრივის სემინარის ეკონომი მღვდელი გიორგი ჩაგუნავა. ლექტორებად ჯერ ხანად დასახელებულნი არიან: რუსულისა და ქართულის ენისა—ბ. ფერაძე, ანგარიშისა—ბ-ნი ნატროშვილი. საეკლესიაო-სლავიანურს გალობას ასწავლის კურსებზე ტფილისის საეკლესიაო სამრეწლო სკოლების გალობის მასწავლებელი ბ. შარაბიძე და საეკლესიაო ქართულ გალობას-კი—მღვდ. ვასილ კარბელაშვილი. კურსებზე გამოწვეულია სამოცამდის მასწავლებელი ქალი და კაცი. კურსების გამართვას უნდა სამასი თუმანი, რაც უკვე გამოგზავნა უწმიდესმა სინოდმა. (ივ.)

*** * * ალღუზიანის შესახებ.** ბატონო რედაქტორო! ამას წინათ დასტამბული იყო თქვენს პატივცემულ გაზეთში ორიოდ სტრიქონი შესახებ ძველის პოემის „ალღუზიანისა“, სადაც სთხოვდით მღვდელს იოანე რუსიშვილს, თუ რა იცის ამ პოემაზე, მოგვწეროსო, იოანე რუსიშვილი აღარ არის, მხოლოდ იმის შვილებს ვკითხვამ ალღუზიანზე. იმათში მარტო უფროსს შვილს, მცხეთის სობოროს კანდელაკს გრიგოლს სკოლნოდა მცირედი რამე და ასე მიამბო: რაც ვხლავ დაბეჭდილი პოემა ალღუზიანი, არც შეათვლია იმ ხელთნაწერისა, რომელიც ჩვენა გვქონდა, ის იყო მოზრდილი წიგნი ნახევარი არშინი სიგრძე და სიგანე ექვსი ვერშოკი, სისქე ნახევარ ვერშოკზე მეტო. დაწერილი იყო ქალაღზედ, მშვენიერის წმინდა მხედრულის ხელით (წვრილად იყო ჩაიწიქვებული) დახატული იყო კრასებით ბეჯანი, ბაღდათარი, ალღუზიანი და მათი ომები. სათაური ეწერა ესე: „წიგნი ალღუზიანი“. ალღუზონ-რუსიანი, ჩარაჯონ-ქაზილინი, ეს საოაური მე ძალიან კარგათ მახსოვსო, მაშინ იოანე რუსიევი და ერთი ც ბლაღოჩინი (მგონი ბახუტოვი) დადიოდნენ რევიზიაზე და ის წიგნი, ერთი ც, ტყავებზე დაწერილი ღვთის-მშობლის პარაკლისი, ორი მსუბუქი თოფი და ერთი ც ხმალი (ქიზგა, რომელსაც ოსის ქალები აკეთებდნენ) მას უკან გახნდა ჩვენს სახლშიო. ალაგ-ალაგ ტყავები, სტრიქონები და სიტყვები ქვარტლისაგან და წვეთისაგან წავლილ-წაბლალული იყო, ჩემი

ძმა ალექსანდრე მაშინდელ აკადემიაში (სასულიერო) ნასწავლი იყო, კარგათ იცოდა ქართული ენა და ის წაშლილ-წაბლალული ჩაუმატა, ზოგს აზრით მიხვდა, ზოგიც კიდევ ნახევარი სიტყვები სჩანდა და ის შეათავაო. რაც შეეხება ეხლანდელ ალღუზიანს, გამრეკელის გამოცემულსა, მაგას ის ალექსანდრე ამოუწერდა ხოლმე გამრეკელების გმირობას და თვითონ მე ჩაუტანდი ხოლმეო, ის ძველი დედანი კი ბავშვებმა დახიეს და დაიკარგაო, დანარჩენი პოემისა თუ ალღუზიანის შვილი იაზონი როგორ მოქმედებდა და რათ დავერქვა სახელი „რუსიანი“ იქ არ არისო. ალღუზონი არ აძლევდა მოსვენებას რუსებსაცო, მოკიდებული ანდრია ბოლოლიუბსკის დროიდან ვიდრე იოანე გროზნემდინ, გაჯავრებულმა იოანე გროზნიმ გამოუსია ჯარი ოსებსა, გაიმარჯვა და ალღუზიანის შვილი იაზონი ტყვეთ წაიყვანაო. ამას რუსული ისტორია ცმტკიცებსო, რომ ბოლოს სახელი იაზონი იასონათ გადაუკეთეს და სამსახურის გულისთვის რუსთა მეფემ უგანათლებულესი თავადობა უბოძაო. მას შემდეგ ეს იაზონი, საქართველოში რუსთა ცნობილი შემოვიდა ჯარით უღუმბაში, შეებრძოლა ქართველებს ჯერ გაიმარჯვა და ბოლოს კი ბერტყულაში დამარცხდა და იქვე ასაფლავიაო. მას შემდეგ გადმოსულან საქართველოში იმის შვილები და რა კი მამას რუსს უძახდნენ, ამ იაზონის შვილებს რუსიშვილები დაარქვეს. ამათ ერქვათ: როსტომ, ბეჯან და იანე.

როსტომისგან კახეთის რუსიშვილები (ყოჩნიბაშ-რუსიშვილები) არიან ჩამომავლები; ბეჯანისგან ეხლანდელი მურმანიშვილები და იოანესგან ჩვენაო. ამ გრიგოლ რუსიშვილის სიტყვით (მცხეთის კანდელაკი) ნარას ნუხალას საყდარში ასაფლავია ბაღათარი, რომლის საფლავის ქვაზე აწერია:

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი ჩარაჯონი ქაზილანი,

ოს ბაღათარ, დავით სოსლანი ოთხ სამეფოთ მებრძოლანი ოსს. ასე ახსნა ეს ლექსი: ოს, ბაღათარ, დავით, სოსლანი ესენი ოთხნი ძმანი იყვნენო.

მხოლოდ ოსმა ეკვთიმე სანაყოშვილმა ასე ახსნა: ოს-ბაღათარ-დავით-სოსლანი ერთი კაცი იყო, თამარ-დედოფლის ქმარიო. ბაღათარი ნიშნავს ოსურათ გმირსო, (Багатырь) დავით ქართულათ ერქვა, ოსები კი ჩვეულებისამებრ სოსლანს უძახდნენო, მაგალითად მე ექვთიმე მქვიან და ქუჯის მეძახიანო, მრავალი კიდევ სხვა, ასე, რომ გადმოვთარგმნათ, იქნება: ოსი გმირი დავითი იგივე სოსლანიო.

რაც შეეხება, ალღუზიანს, ჩარაჯონს, ქაზილანს და იაზონს, მათი სახელით თავი მოაქეთ ოსების ხალხსაო. მაგალითად სანაყოშვილები, თომაშვილები, გაგოლიშვილები ალღუზიანები არიანო, დღესაც ასე ეძახიან ამათ „ალღუზონოთე“, ჩარაჯონების ჩამომავალი პირ-იქით არიან და უწოდებენ „შარაჟონისთე“ აგრეთვე ქა-

რხილანებიც იქვე არიან და ამ სახელით იხსენებიან.

*** * * შერდამას გასწორება.** შინდელს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო შენიშვნა ყასბების თავის გასულობაზე და ვითომც ბ-ნ ზიერს ერქვას ყასბებისათვის—იმერელის ოხტიდან ვერ მოხვედთო! ეხლა, როგორც ნამდვილი შევტიკვეთ, ზემოდ-ხსენებული ბავი ტყუილი გამოდგა.

*** * * კავკასი. ქართული კვლევის სამარკვლას კურთხევა.** 7 ივნისს კავკასის ქართულ სკოლათან მოხდა ეკლესიისა და ახალ სკოლის სადგომის სამიროკლო კურთხევა, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ, როგორც ადგილობრივი ქართველი საზოგადოებ, აგრეთვე ბევრი საპატია პირები, სამიროკლის კურთხევა შეასრულა ადგილობრივის გიმნაზიის საღმრთო სჯული მასწავლებელმა მ. დედმა კ. ალექსანდროვმა ოსტა მღვდლის მამა გათუევის და სარველო-საეკლესიაო სკოლების მთავალყურის მამა იოსებ ორენბოვ დახმარებით, კურთხევა ასრულბული იქმნა რუსულად ქართულ გალობით. კურთხევას, მიუხედავად მისდა, რომ ცუდი ამინდი იყო ხალხი ბლომად დაესწრო. საპატია სტუმართა შორის იყვნენ ადგილობრივი ქალაქის თავი ა. ფროლკოვი, პოლიციის უფროსი და პროფესორი ალ. ხახანაშვილი. კურთხევის შესრულების შემდეგ მამა კ. ალექსანდროვმა მიმარხალხს მოკლე სიტყვით, რომელშია ცხადად აღდილობრივ ქათველებს წარმატებით დაგვირგნება იმისთანა ღვთისა და კაცსასიამოვნო საქმეში, როგორც ეკლესია არის. ამის შემდეგ ზოგი საპატია სტუმრები და მღვდლები მიწვეულნი იყვნენ მცხეთის საუხმეზე.

ამ ნაირად კავკასელ ქართველების დიდი ხნის წადილმა და ნონიერმა სურვილმა ფესვი გაგა. ეხლა მხოლოდ საქიროა შერთებულის ძალით დაგვირგვინებულის საქმისა. ის საზოგადო თანაგრძნობა, რომელსაც ჩვენამხნვეთ არა მარტო ქართველში, უცხო ტომის ხალხშიაც, თავ-გამოდებით ენერგიული შრომომელსაც ვწვევთ ეკლესიის ამწნებელი კომიტეტი, სრულს ბუთს გვადღვეს ვიფიქროთ, რომამა წლის აგვისტოს დასასრულს ეკლესიისა და სკოლის შენობა ორივე დასრულებული იქმნებრომლითაც აქაური ქართველო საშვილიშვილო ძველს დაიდგამომავალ თაობის ხსოვნაში. დაგვიჩენია მხოლოდ სურვილი გამარჯვებისა ამ საკეთილო საქმეში.

*** * * აშარა. ყოფა-ცხოვრება ღვთისა.** ძველ ნაშთებს აქარის ქართველოსთან კავშირობის დროისას, რომლითაც მთელი აქამოფენილია, აქარლები დიდს